თქვენგან არავინ თქვას: "ო, ალლაჰ, მაპატიე, თუ ინებებ", ან "შემიწყალე, თუ ინებებ", ან "მომმადლე საზრდო, თუ ინებებ". მან უნდა ითხოვოს მტკიცედ, რადგან ალლაჰი მხოლოდ იმას ახორციელებს, რაც თავად ინებებს, და არავის შეუძლია აიძულოს მას რაიმე

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენგან არავინ თქვას: "ო, ალლაჰ, მაპატიე, თუ ინებებ", ან "შემიწყალე, თუ ინებებ", ან "მომმადლე საზრდო, თუ ინებებ". მან უნდა ითხოვოს მტკიცედ, რადგან ალლაჰი მხოლოდ იმას ახორციელებს, რაც თავად ინებებს, და არავის შეუძლია აიძულოს მას რაიმე». მუსლიმის გადმოცემაში კი ნათქვამია: «და მან უნდა ითხოვოს მტკიცედ და დიდი სიკეთე, რადგან, მართლაც, არ არსებობს ისეთი ძღვენი, რომელიც ალლაჰისთვის მეტისმეტად დიდი იყოს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ვედრებაში პირობის "თუ ინებებ" გამოყენება, თუნდაც ეს გამოიხატებოდეს იმაში, რომ ადამიანი თავის თხოვნას ალლაჰის ნებაზე დამოკიდებულად აქცევდეს. ვინაიდან უდავო და უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ ალლაჰი, ყოვლადწმინდა და უზენაესი, მხოლოდ თავისი ნებით პატიობს. ამიტომაც, "თუ ინებებ" ფორმულირების გამოყენებას აზრი არ აქვს, რადგან ეს ფორმულირება მხოლოდ იმათზე ვრცელდება, ვინც რაღაცას იძულებით აკეთებს ან სურვილის გარეშე მოქმედებს, რაც ალლაჰს არ შეესაბამება. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს ნათლად განმარტა ჰადისის ბოლოს, როდესაც თქვა: "ვინაიდან მას (ალლაჰს) ვერავინ ვერაფერს აიძულებს". ასევე, არ არსებობს ისეთი საქმე, რომელიც ალლაჰისთვის მეტისმეტად დიდი ან რთული იქნებოდა, ან ისეთი რამ, რისი მინიჭებაც მას არ შეეძლოს, რომ ამის გამო დუაში დაემატოს პირობა „თუ ინებებ“. ამასთან, ასეთი პირობა თითქოს მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ არ გვჭირდება ალლაჰის მიტევება და მის გარეშე გაძლება შეგვიძლია, რაც სრულიად მიუღებელია. ხანდახან ადამიანი ამბობს: „თუ ინებებ, მომმადლე ესა და ეს.“ მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ითქმის, როცა ადამიანს ამ სიკეთეს გარეშე ყოფნაც შეუძლია, ან როცა მიმართავს მას, ვისი შესაძლებლობებიც შეზღუდულია. ხოლო როცა საქმე ეხება ყოვლისშემძლე ალლაჰს და იმ სიკეთეს, რომლის გარეშეც ვერ გავძლებთ და რისი უკიდურესად საჭიროებიც ვართ, აქ საჭიროა მტკიცედ და დამაჯერებლად თხოვნა, ისე, როგორც თხოვს გაჭირვებული, ვისაც სასიცოცხლოდ სჭირდება ეს წყალობა. აუცილებელია, დაჟინებით ვთხოვოთ ალლაჰს დახმარება, რადგან ის სრულყოფილია, ყოვლისშემძლეა და ყველაფერზე ძალმოსილი.